ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 11-41

8 მაისი

"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი"- ს ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ტ" ქვეპუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქ. თბილისში ყოველწლიურად ჩატარდეს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი". კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგში მოღვაწე პირების შემოქმედებით აქტივობას, პროფესიულ ზრდასა და ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენასა და წახალისებას, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების დანერგვასა და საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

2. კონკურსის ჩატარებამდე, ყოველწლიურად შეიქმნას შესაბამისი ჟიური 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით. ჟიურის უფლებამოსილება შეუწყდება ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისის" დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჟიურის წევრობის კანდიდატურები.

4. კონკურსის ჩატარების ვადების შესაბამისად, ყოველწლიურად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შეიქმნას კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფი. ჯგუფის მუშაობას კოორდინაცია გაუწიოს

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა. კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფმა უზრუნველყოს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომების მიღება, დახარისხება ნომინაციების მიხედვით და გადაცემა კონკურსის ჟიურისთვის, გაუწიოს კოორდინაცია ჟიურის მუშაობას და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საორგანიზაციო საქმიანობას.

5. კონკურსის ჟიურიმ შეისწავლოს და შეაფასოს ფიზიკურ პირთა მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები.

6. კონკურსის ჟიურის მუშაობას ხელმძღვანელობს ჟიურის თავმჯდომარე, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევენ ჟიურის წევრები ხმათა უმრავლესობით. ჟიურის თავმჯდომარეს და ჟიურის წევრებს აქვთ ერთი ხმა. ჟიური უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, თითოეულ ნომინაციაში, ხმათა უმრავლესობის პრინციპით, გამოავლინოს ერთი გამარჯვებული.

7. კონკურსის ნომინაციებია:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო ესსე (“ჩემი თბილისი” - სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის);
- წლის საუკეთესო სიმღერა;
- წლის საუკეთესო ფერწერული ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო ქანდაკება;
- წლის საუკეთესო ფოტოხელოვნების ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები;
- ჟიურის სპეციალური პრიზი.

8. ჟიური უფლებამოსილია კონკურსში მონაწილე ნებისმიერი პირი დააჯილდოოს სპეციალური პრიზით.

9. გამარჯვებულებს გადაეცეს კონკურსის პრიზი (სიმბოლო, XII საუკუნის არტეფაქტის - ხოხბის - გამოსახულების სტილიზებული ვარიანტი) და ფულადი ერთჯერადი განაცემი (ჯილდო) 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

10. ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისის“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართოს ყოველი წლის ოქტომბრის თვეში, თბილისობის დღესასწაულის დროს.

11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, განათლებისა და კულტურის კომისიის წარდგინების საფუძველზე, უზრუნველყოს ჟიურის წევრებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმება. ჟიურის წევრის ანაზღაურება განისაზღვროს ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარით.

12. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ყოველწლიურად გაითვალისწინოს აღნიშნული კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო თანხა.

13. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ და საკრებულოს აპარატის უფროსმა.

14. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი" ჩატარების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების მიღება განპირობებულია გადაწყვეტილებით, თბილისის მუნიციპალიტეტის ეგიდით ჩატარდეს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი.

ბ.ა) პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგში მოღვაწე პირების შემოქმედებით აქტივობას; პროფესიულ ზრდას და ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას; ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენასა და წახალისებას, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების დანერგვას.

ბ.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

კონკურსი ჩატარდება ყოველწლიურად. ყოველ წელიწადს კონკურსის ჩატარებამდე შეიქმნება 7 წევრისგან შემდგარი ჟიური, რომლის წევრებსაც დასამტკიცებლად თბილისის საკრებულოს წარუდგენს თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია.

კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ყოველწლიურად შეიქმნება კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფი, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს აპარატის უფროსი.

კონკურსის ნომინაციებია:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები
    - წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები
    - წლის საუკეთესო ესსე (''ჩემი თბილისი''-სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის)
    - წლის საუკეთესო სიმღერა
    - წლის საუკეთესო ფერწერული ნაწარმოები
    - წლის საუკეთესო ქანდაკება
    - წლის საუკეთესო ფოტოხელოვნების ნაწარმოები
    - წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები
    - ჟიურის სპეციალური პრიზი

გამარჯვებულს გადაეცემა პრიზი - კონკურსის სიმბოლო XII საუკუნის არტეფაქტის-ხოხბის გამოსახულებიანი მოჭიქული თასის სტილიზებული ვარიანტი და ფულადი ჯილდო 1500 ლარის ოდენობით.

ჟიურის წევრის ანაზაურება განისაზღვრება ერთჯერადად 2000 ლარით.

კონკურსის დაჯილდოების ცერემონია გაიმართება ყოველ წელს, თბილისობის დღესასწაულის დროს.

დადგენილების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია და საკრებულოს აპარატის უფროსი.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება

გ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

გ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ყოველწლიურად უნდა გაითვალისწიონოს შესაბამისი თანხა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

გ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრე